# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივ [illegible] ქვე-რდზე პეტიტით ღირს 15 კ. უკანასკნელზე—40 [illegible] ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ერთი დღის:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**გარეშებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა ქართულსა და რუსულს ენაზე

I განყოფილება — დიქცია და დეკლამაცია.
II „ — პლასტიკა და გიმნასტიკა.
III „ — თეატრის ისტორია.
IV „ — ესტეტიკა.
V „ — პრაქტიკული მეცადინეობა.

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.

(თ.—230—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

## ახალი მელანი კოტე ონიკაშვილისა

მელანი ასლის ასაღებადაც („კოპიროვკისთვის“) კარგია

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

◆ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ◆

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

## კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

## შეშის საწყობი ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელანი“

## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

დ. ზესტაფონში

ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ ტელეფონი № 5—77.


## ტფილისი, 26 მარიამობისთვე.

**ბულგარეთი და რუსეთი.** ისტორიული ბედი ცვალებადია. როცა 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუსის ჯარმა მდინარე დუნაი გადალახა და ოსმალეთის მიწა-წყალს შეესია, ის მეტის-მეტად გააოცა იმ გარემოებამ, რომ აქ აღმოჩნდა სლოვენურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი, რუსობის მონათესავე სისხლითა და სარწმუნოებითა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ მეცნიერმა ეთნოგრაფებმა თუ იცოდნენ ბულგარელი ერის არსებობა: ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში ის არავითარ საყურადღებო როლს არ ასრულებდა, საკუთარ სამშობლოში კი ოსმალელი ბეგების ყმად და მონად იყო გადაქცეული.

სამართლიანობა ითხოვს აღინიშნოს, რომ ეს დამონებული და პატივაყრილი ხალხი რუსეთმა გამოიყვანა ფართე ისტორიულ გზაზე. 1877 წელს რუსებისა და რუმინეთის შეერთებულ ჯარმა ოსმალეთი დაამარცხა და ბულგარეთის დამოუკიდებლობა ზავის აუცილებელ პირობად დაუყენა. დღეს იგივე რუსეთისა და რუმინეთის შეერთებული ჯარი ბულგარეთის საზღვრებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ არა როგორც განმათავისუფლებელი, არამედ როგორც მოსისხლე მტერი და სასტიკი დამსჯელი. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რუსის მოწინავე ცხენოსანი ჯარი უკვე შუაგულ დობრუჯაში შეიჭრა და ბულგარელების კავალერიას შეეჯახა. როგორც არ უნდა განვითარდეს ეს პირველი შეჯახება, რა მიმართულებაც არ უნდა მიიღოს მან, ხიდი უკვე ჩატეხილია რუსეთსა და ბულგარეთს შორის.

ეს ერთი უდიდესი მარცხია, რომელიც ოდესმე მოსვლია პანსლოვენურ იდეას; არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე რუსეთ-პოლონეთის შუღლი, იყო ან კიდევ ბულგარეთ-სერბიის ქიშპობა. ამ მარცხის ახსნა არ შეიძლება მარტო ფერდინანდ ბულგარელის ღალატით და თაღლითობით.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ დინასტიურ მოსაზრებებს ნაკლები გავლენა აქვთ, დღევანდელ პოლიტიკაზე. ფერდინანდ რუმინელი ისეთივე გერმანელია, როგორც მისი ბულგარელი სეხნია, ის ამასგარდა ჰოჰენცოლერნიც არის, მაგრამ რუმინეთი ოთხთა შეთანხმებას მიემხრო, მიტომ რომ ამას ეროვნული ინტერესები და მომენტის შეგნება მოითხოვდა. თუ ბულგარეთი პირიქით გერმანიასა და მის მოკავშირეებს მიეკედლა, თუ მან ხმალი იშიშვლა თავისი გუშინდელი განმანთავისუფლებლების წინააღმდეგ, ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთსა და ბულგარეთს შორის ბოლო დროს თავი იჩინა ინტერესთა წინააღმდეგობამ, რის გადაფუჩეჩება აღარ შეიძლებოდა სანტიმენტალური მოგონებებით და სლოვენოფილური იდეებით. უკვე სამი წლის წინათ, ბალკანეთის ომის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ რუსეთისა და ბულგარეთის გზები დაშორდნენ ერთი მეორეს. ბულგარეთმა მოულოდნელად დიდი სამხედრო ძლიერება გამოიჩინა ამ ომში: კირკეკილისსა, ლულ-ბურგასსა და ადრიანოპოლთან მან სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის ჯარი და ბოლოს ის ჩატალჯასთან მირეკა. ბულგარელებისთვის ეს გამარჯვება იმდენად თავბრუდამხვევი იყო, რომ მათ კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებაზეც კი დაიწყეს ოცნება. ამბობენ, რომ ფერდინანდ ბულგარელმა ბიზანტიელი იმპერატორის ტანთსაცმელიც კი შეუკვეთა და სვიმონ პირველის სახელწოდება მიიღო იმ შემთხვევისათვის, თუ მისი ჯარი ჩატალჯის სიმაგრეებს გაარღვევდა და ძველი ბიზანტიის დედა ქალაქს დაიჭერდა.

ყველაზე მეტად რუსეთი დააღონა ამ მოულოდნელმა ამბებმა. რუსეთის დიპლომატია იმ ჯადოქარის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც ვეღარ უმკლავდება მის მიერვე გამოწვეულ ქვესკნელის ძალებს. ცნობილია, რომ ბალკანეთის კავშირი ოსმალეთის წინააღმდეგ საზონოვის პირდა-პირი მონაწილეობით და მფარველობით შესდგა. მაგრამ რუსეთის დიპლომატიას არ ეგონა, რომ ბულგარეთი ასე სასტიკად დაამარცხებდა ოსმალეთს, რომ მისი ჯარი ასე საგრძნობლად დაუახლოვდებოდა სრუტეებსა და კონსტანტინეპოლს. რუსეთი ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა ბულგარეთის ზედმეტ გაძლიერებას, ვერ შეურიგდებოდა კონსტანტინეპოლის გადასვლას იმ ახალგაზრდა, ჯანსაღი ხალხის ხელში, მიტომ რომ თავის-თავს სთვლიდა ბიზანტიის პირდაპირ მემკვიდრედ და დიდი ხანია პრეტენზიებს აცხადებდა ცარგრადსა და ბოსფორზე, ძლიერი რუსეთის იდეა მოითხოვდა, რომ ძლიერ ბულგარეთის იდეას ფრთები შეჰკვეცოდა. ამიტომ მოხდა, რომ რუსეთ-საფრანგეთმა 1913 წელს მარტოდ-მარტო დასტოვეს ბულგარეთი, ღ რუმინეთი, საბერძნეთი ღ სერბია მიუსიეს მას და ბოლოს ბრწყინვალე გამარჯვების ნაყოფი ხელიდან გამოაცალეს.

აქედან იწყება ბულგარეთის ავსტროფილური პოლიტიკა. ეს პოლიტიკა დაყრდნობილი იყო არა მარტო ფერდინანდ ბულგარელის პირად სიმპატიებზე, არამედ მთელი ბულგარელ ხალხის, რომელიც იმედგაცრუებული გამოვიდა, ბალკანეთის ომიდან. და ეხლანდელი შეხვედრა რუსეთ-ბულგარეთის კავალერიისა დასაწყისია იმ დიდი დრამისა, რომელმაც კონსტანტინეპოლის და სრუტეების ბედი უნდა გადასწყვიტოს. თუ ბოსფორი და დარდანელი რუსეთმა დაიჭირა, ბულგარეთი საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს დიდი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებას და მეორე ხარისხოვანი როლით დაკმაყოფილდეს. თუ პირიქით თანამედროვე ომიდან გამარჯვებული ცენტრალური კოალიცია გამოვიდა, ჰაწია ბულგარეთს დიადი პერსპექტივები გაეხსნება წინ. ის შემოიერთებს მაკედონიას და თრაკიას ადრიანოპოლის ბჭეებამდე, საიდანაც მოკლე გზა მიდის კონსტანტინეპოლში. რადგან ოსმალეთი დაქვეითებისა და დარღვევის გზას ადგია, ხოლო ბულგარეთი ამაღლებისა და აღორძინების, ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ ვის დარჩება ბოლოს სრუტეები. თუ რუსეთმა თავის საწადელს ვერ მიაღწია. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ დღეს დობრუჯის ჭაობებში უდიდესი ისტორიული საკითხი სწყდება: სახელდობრ ის, თუ ვის უნდა დარჩეს კონსტანტინე დიდისა და იუსტინიანეს მემკვიდრეობა.

—

**ავაზაკობა ქუთაისში.** ქუთაისის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ არც გიმნაზიები, არც ბულვარი და არც საპოლიციო უბნები საკმაო არ არის, რომ ქალაქმა თავი დააღწიოს საშუალო საუკუნის ტრადიციებს. თვე არ გავა ისე, რომ იმერეთის დედა ქალაქიდან გაზეთებში რაიმე ისეთი ცნობა არ დაიბეჭდოს, რაიცა ძლიერ წააგავს ალექსანდრე დიუმასა ღ ჟულან დოილის რომანებს. როგორც ჩვენი იქაური კორესპონდენტი გვატყობინებს, ამ ორი დღის წინად მთვრალ პოლიციელს თავადი ანდრია მიქელაძე მოუკლავს, ხოლო სამხედრო ტანისამოსში გადაცმულ ავაზაკებს ეტლით ექიმი გაბრიელ გოკიელი გაუტაცნიათ. ეს ორმაგი ცნობა სწორედ რომ ღირსი იქნებოდა გონება მახვილი ჰუმორისტისა, მასში ამდენი ტრაგიზმი რომ არ იყოს ჩაქსოვილი. ძნელია ქალაქისათვის მეტი უბედურების წარმოდგენა: ქუჩა-ქუჩა აშკარად ნავარდობენ თავზე ხელაღებული ავაზაკები და საფრთხეს უმზადებენ ყოველ მშვიდობიან მოქალაქეს, რომელსაც ორიოდე გროში აქვს ჯიბეში. ამავე დროს პოლიციელები საუკეთესო შემთხვევაში ფილოსოფიურ გულგრილობას იჩენენ და უარეს შემთხვევაში თვითონვე ნადირობენ გამვლელ-გამომვლელზე. წესიერი სამოქალაქო ცხოვრება შეუძლებელი ხდება ასეთ პირობებში: მით უმეტეს გულდადებული საქმიანობა. ამ უბედურებისაგან თავის დასაღწევად თვით ქუთაისის საზოგადოებას მართებს აქტივობის გამოჩენა. საჭიროა, რომ ადგილობრივმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა უმაღლეს მთავრობას მოახსენონ ქუთაისელი პოლიციის მცონარეობისა და უმოქმედობის ამბავი, საჭიროა, რომ ფართე წრეებმა ძალღონის შესაფერი მონაწილეობა მიიღოს ავაზაკების ალაგმვის საქმეში, როგორც ეს უცხოეთში ხდება. თანამშრომლობა საზოგადოებისა და პოლიციის შორის შეუძლებელია, თუ ეს უკანასკნელი თავის ვალდებულებას არ ასრულებს კეთილსინდისიერად და მოქალაქეებს იმდენად არ იცავს, რამდენადაც არბევს. ამიტომ ავაზაკობის მოსასპობად უწინარეს ყოვლისა პოლიციის მოწესრიგებაა საჭირო.

## ქართული პრესა

გაზეთი „სამშობლო“ სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ სწერს:

ამ ბოლო დროს ჩვენი გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ ქართველ სომეხთა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ არც ერთ სოციალურ ჯგუფს არ ეტყობა იმდენი რყევა, გამოურკვევლობა და აზრთა არევ-დარევა ამ საკითხში, როგორც ეს ჩვენ ფედერალისტებს მოსდით.

დღეს რომ ძმობა-ერთობას და სიყვარულს ეფიცებიან ფედერალისტები თავიანთ მეზობელ სომხობას და ყოველი ღონის ძიებით ცდილობენ დაარწმუნონ ისინი თავის უღალატო და წრფელ ერთგულობაში, ხვალ,—უზომოდ გაჯავრებულნი, ბოღმითა და ნაღველით აღვსილნი,—პირიდან ცეცხლს აფრქვევენ და ვინ იცის, რას არ უკადრიან გუშინდელ ძმებსა და მეგობრებს.

ამიტომ არის, რომ ამდენი ხნის მათმა წერამ და ლაპარაკმა ვერავითარი ნიადაგი და გავლენა ვერ მოიპოვა ვერც ჩვენში და ვერც სომხის საზოგადოებრივ წრეებში, ყველგან უნდობლათა და ეჭვსი თვალით უყურებენ მათ განცხადებას, რადგანაც ვერავის არწმუნებენ, რომ ხვალვე არ უარჰყოფენ იმას, რასაც ასე თავგამოდებით და მხურვალედ ესარჩლებიან დღეს.

პოლიტიკური პარტიისათვის ამნაირი ორსახეობა მეტად დამღუპველი და საზარალოა; იგი ადრე იქნება თუ გვიან, აუცილებლად დაჰკარგავს ყოველ გვარ პრესტიჟს საზოგადოებაში, თუ მალე არ აიცდინა თავიდან ეს მისი მომსპობი და მთელი საზოგადოებისათვის კი მავნებელი ორსახეობა.

მაგრამ სამწუხაროც ის არის, რომ ეს რყევა ორგანიულ სენად გადაჰქცევიათ ჩვენ ფედერალისტებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ (და სხვებსაც) არა ერთხელ გვიმხელია მათი ეს უდიდესი დეფექტი და აქედან წარმომდგარი ჩვენი ქვეყნისთვის მავნებელი შედეგები.

ჩვენ ათასჯერ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ სასურველად მიგვაჩნია ყველა ეროვნებათა შორის სუფევდეს კეთილი განწყობილება; მაგრამ, რადგან ჩვენი ერის ისტორიულსა და ბუნებრივ უფლებებს ყველაზე მაღლა ვაყენებთ, მოვალენი ვართ თავდაუზოგველი, სასტიკი და პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადოთ ყველა იმათ, ვინც ყოველის მხრით სცდილობს ჩვენი ქვეყნის დაჩაგვრას და **ჩვენის ხარჯით** გამდიდრება-გაძლიერებასო.

წინად თუ ამ ნაირ ძალას სპარსოსმალო და სხვები წარმოადგენდენ, დღეს ქართველ ეროვნებისათვის ყველაზე საშიში ძალა სომეხთა პრეტენზიებია საქართველოში. ამას თითქმის ყველანი ვხედავთ და ვადასტურებთ კიდეც.

მაშ, რაღა გვაქვს სადავო? რატომ ყველანი ერთის აზრითა და გრძნობით არ ვიმსჭვალებით? რატომ ყველანი ერთს გზას არ ვადგებით და კულტურულის საშუალებით არ ვიბრძვით ხმა შეწყობილათა და გაბედულად, ღრმად დარწმუნებული, რომ ძმობა-მეგობრობაზე ლაპარაკი ზედმეტია იქ, სადაც მოპირდაპირეს არ ეპრიანება ეს **შენი მეგობრობა** და აშკარათა და დაუფარავად სცდილობს შენი ქვეყნის უბედურებაზე ააშენოს თავისი ხალხის ბედნიერება?

ამდენი მწარე გამოცდილების შემდეგ ჩვენმა ფედერალისტებმაც ეს ნათლად დაინახეს და ამიტომ არის, რომ მათ ნაწერებსა და მოქმედებაში ხან და ხან ბჟუტავს ხოლმე პატრიოტული ცეცხლი. ხოლო ეს ცეცხლი,—რომელიც მუდამ უნდა ენთოს ყოველ ჭეშმარიტი პატრიოტის გულში,—ნელდება და სწრაფად ჰქრება ხოლმე, როცა პატრიოტიზმით დაქანცული ფედერალისტები „მაღალ იდეებს“ აფარებენ თავს, კომპრომისებითა ღ ჰუმანიტარულ-სანტიმენტალური გზით სჭრიან ერთა შორის დამოკიდებულების მეტად რთულ საკითხებს.

ნუ თუ ძნელია იმის შეგნება, რომ ჰუმანიზმით ხელმძღვანელობა შეუძლებელია მაშინ, როცა მოპირდაპირე მხეცური ეგოიზმით არის გაჟღენთილი და არავისი და არაფრის დანდობა აღარ ჰსურს!

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინწინდელი რუმინეთის ოფიციალი დეპეშა არაფერს ამბობდა შესახებ იმისა, თუ ვინ მიიტანა ქ. ტურტუკაიას მოწინავე სიმაგრეებზე ათჯერ ზედიზედ საერთო იერიში. ქალაქი ტურტუკაია 6—7 ვერსით არის დაშორებული ბულგარეთის საზღვრიდან და გაშენებულია მდინარე დუნაიზე. აქედან რკინის გზა მიდის რუმინეთის დედა ქალაქ ბუქარესტისაკენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე, რომელიც, როგორც გუშინდელ ოფიციალი დეპეშიდან გამოირკვა, ყოფილან გერმანელები და ბულგარელები, მარტო ამ ქალაქის აღება არ ექნებათ განზრახვად. იქ უსათუოდ შეეცდებიან მდინარის გადალახვას, რათა საშუალება ჰქონდეს ზურგით მოექცეს დანარჩენ რუმინეთის ჯარს, დაბანაკებულს ავსტრიის საზღვრებიდან მოკიდებული დუნაის ნაპირებზე ტურტუკაიამდე. გუშინდელი დეპეშა გვამცნობს, რომ გერმანელებს და ბულგარელებს იერიშები მოაქვთ რუმინეთის ჯარზე ტურტუკაის მიდამოებში. აქ ნათქვამი არ არის რა მოუვიდა თვით ქალაქს, გაუძლო ახალ იერიშებს, რომელსაც უსათუოდ კიდევ გაიმეორებდა მტერი, თუ მიატოვა ეს ციხე-სიმაგრე და ახალ პოზიციებზე გადავიდა. რაც გინდა იყოს, ბრძოლა მაინც სწარმოებს და რუმინეთიც იძულებული გახდება მთელი თავისი ძალ-ღონე აქეთ გადმოიტანოს და ტრანსილვანიას ჯერჯერობით თავი მიანებოს. ამავე დროს არაფერს იტყობინებიან ტრანსილვანიის შესახებ. მიდის წინ რუმინეთის ჯარი, თუ შესდგა. მკითხველს ეხსომება, რომ ავსტრიელებმა გუშინ წინ აქ იერიშები დაიწყეს. ცხობა იყო, რუმინეთის ჯარმა იერიშები მოიგერიაო. თუ დაუკვირდებით, თითქოს კავშირი უნდა ჰქონდეს ტურტუკაიასთან დაწყებულ შეტევას და ავსტრიელების იერიშებს ტრანსილვანიაში.

საზღვრების მოხაზულება რუმინეთის სახელმწიფოსი ისეთია, რომ ერთის მთავარის თავის ნაწილით სოლივით არის შეჭრილი ავსტრიაში და ბულგარეთში. კრონშტატიდან—ტურტუკაიამდე პირდაპირი ხაზით, როგორც ორი მოპირდაპირე პუნქტებს შორის, სულ 150 ვერსის მანძილია. საერთო საზღვარის ხაზით, თუ წამოვალთ კრონშტატიდან-ტურნუ-სავერინით და შემდეგ დუნაით ტურტუკაიამდე, მოგვიხდება გავლა არა ნაკლებ 700 ვერსისა. ადვილი წარმოსადგენია თუ რა ღრმად ყოფილა შეზნექილი რუმინეთი. მთელი ამ 700 ვერსის მანძილზე რუმინეთმა თავის მცირე რიცხოვანი ჯარები უნდა ჩაამწკრივოს და დაიცვას თავის სახელმწიფო მტრის შემოსევისაგან. გერმანეთმა და ბულგარეთმა ტურტუკაისთან შეტევა დაიწყეს, ამას უსათუოდ მოჰყვება ჩრდილოეთით, ავსტრიის მხრივ იერიშები. ორივე მოკავშირე ერთი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით, შეეცდება ბრძოლის პირის გარღვევას წვერებით და დანარჩენ რუმინეთის ჯარის მომწყვდევას. ეს ოპერაცია არც ისეთი რთული საქმეა და იქნება მოახერხონ კიდევაც ცენტრალურმა სახელმწიფოებმა, თუ სარაილის ჯარმა სალონიკიდან ერთის მხრით, და რუსეთის ჯარმა დობრუჯით, მეორე მხრით, ბულგარეთს არ ეძვეთნენ და, სანამ იგი რამეს მოიქმედდა რუმინეთის წინააღმდეგ, მთავარ ოპერაციაში არ ჩაითრიეს. გუშინდელი ოფიციალი დეპეშები არაფერს ამბობენ არც საბერძნეთის შესახებ და არც რუსეთის ჯარზე, რომელიც უკვე მალე უნდა გაჩნდეს ბულგარელების საზღვარზე. არის ერთი გარემოება, რომელიც უეჭველია ხელს შეუშლის ცენტრალურ სახელმწიფოებს განზრახული ოპერაცია სწრაფად აწარმოვონ. საქმე იმაშია, რომ ავსტრო-ჰუნგრეთს მეტად გაუჭირდება ჩრდილოეთით შეტევის წარმოება. როგორც ვიცით, ავსტრიას და რუმინეთს საზღვრავს ტრანსილვანიის ალპები. მათი გადალახვა ახლა ძალიან ძნელია და მეტად დიდ დროსაც მოითხოვს. მასთანვე უგზოობა ხომ უფრო გაუჭირებს საქმეს. მარტო გერმანელები და ბოლგარელები თავიანთ ძალღონით ვერ შესძლებენ რუმინეთში შესევას, რადგან საკმაო რეზერვები მათ სრულებით არ ჰყავთ.

დასავლეთის ასპარეზით ფრანგები და ინგლისელები შეტევას განაგრძობენ. სამაგიეროდ ვერდენთან სიწყნარე ჩამოვარდა. როგორც ეტყობათ მოკავშირეებს გადაწყვეტილი აქვთ ფართოდ აწარმოვონ შეტევა, რათა საშუალება მოუსპონ გერმანელებს ამ ადგილებიდან თავიანთი ჯარი გადაიყვანონ რომელიმე სხვა ბრძოლის ველზე.

გალიჩის მიმართულებით რუსეთის ჯარმა აიღო რამოდენიმე სიმაგრე და წინ მიიწევს.

X.

# ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი, 24 აგვ.** ოფიციალი. გალიჩის მიმართულებით მდ. გოროდენკის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა აიღო გამაგრებული პოზიცია და განდევნა მტერი ჩრდილო-დასავლეთით. ჯერ-ჯერობით წამოვიყვანეთ 4500 ტყვე, მათ შორის 2000 გერმანელია. კარპატებში ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ჩვენებმა აიღეს რამდენიმე სიმაღლე და მოიგერიეს მოპირდაპირეს კონტრ-იერიშები.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტას მიდამოებში ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი წინსვლას განაგრძობს. ოგნოტას დასავლეთით ჩვენებმა იპოვეს რამდენიმე დასახიჩრებული ოსმალების მიერ რუსის სალდათი. ვანის ტბის დასავლეთით ინგლისელების ჯავშნიანმა ავტომობილებმა გამორეკეს ოსმალები ჩუხუნ ნორშენთან მდებარე სოფლებიდან.

**ბალკანეთის ასპარეზი.** გერმანელების და ბულგარელების ჯარებს იერიში მიაქვთ რუმინელებზე ტურტუკაიას მიდამოებში.

—

**ლონდონი, 24 მარ.** დღევანდელ ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ლეზის ტყის სიმაგრეები. მიუხედავად მოპირდაპირის საშინელ საარტილერიო ცეცხლისა, ჩვენები მაინც განაგრძობენ წინსვლას.

**პარიზი, 23 მარ.** მიუხედავად ცუდი ამინდებისა მდ. სომაზე ჩვენი ჯარი მაინც განაგრძობდა წინსვლას და დაიკავა საგულისხმიერო ადგილები. საშინელის ბრძოლის შემდეგ, ჩვენ მივახწიეთ ანდერლიუს ტყემდე, ავიღეთ იერიშით ოპიცალის ფერმა, ტენეცის ტყე და დავიკავეთ ნაწილი მარიერის ტყისა, რომელიც სჭრის კლერიდან მომავალ გზას. აგრეთვე შევაერთეთ ჩვენი სიმაგრეები, რომელიც მდებარეობს მდინარის ჩრდილოეთით მდ. ომეკურის სამხრეთ სიმაგრეებთან. 21 მარიამობისთვიდან დღევანლამდე ხელთ ვიგდეთ 32 ზარბაზანი, 2 ყუმბარის სასროლი და მრავალი სამხედრო მასალა. ტყვეების რიცხვი, წამოყვანილი ერთი დღის განმავლობაში ჯერაც არ დაგვითვლია. მდ. სომმის სამხრეთით მთელი დღე საშინელი ბრძოლა სწარმოებდა. მოპირდაპირემ რამდენჯერმე მოიტანა იერიში. ჩვენ ავიღეთ რამოდენიმე წინ წამოწეული ადგილები შილთან. სუეკურის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო პირველი წყება გერმანელების სანგრებისა და მიახწია დენიეკურამდე.

**ლონდონი, 23** მარიამობისთვე. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარის მთავარ შტაბისაგან ოფიციალი ცნობა. გილემონის მიდამოებში მთელი ღამე სამხედრო მოქმედება არ შეგვიწყვეტია. მიუხედავათ მტრის მკაცრი წინააღმდეგობისა და კოკისპირული წვიმებისა ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 1200 მეტრით სოფელ გილემონის აღმოსავლეთით და გამაგრდნენ ლეზის ტყეში. ამ ადგილის სამხრეთით, 900 მეტრის გასწვრივ მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენს ხელში გადმოვიდა, რაც მტერს სიმაგრეები ჰქონდა აგებული ფალმონის გარეშემო. 20 მარიამობისთვიდან მოყოლებული სამხედრო ოპერაციის შედეგი ასეთი იყო: ჩვენს ხელში გადმოვიდა მტრის სიმაგრეების მეორე ხაზი მოკეს ფერმიდან დაწყებული, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც ინგლისელებისა და ფრანგების ჯარები ერთმანეთს უერთდებიან. ტყვეებს განუწყვეტლივ ვიპყრობთ. 21 მარიამობისთვიდან დატყვევებულთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება. ქენშის გარშემო ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**ათინა. 23** მარიამობისთვე. საბერძნეთის მთავრობამ თავის წერილობით პასუხში აცნობა საფრანგეთისა და ინგლისის ათინელ მისიებს, რომ იგი აკმაყოფილებს მათი მთავრობების მოთხოვნილებათ. უმავთულო ტელეგრაფის ყველა სადგური მოკავშირეთა ჯარების განკარგულებაში გადავა.

**პარიზი, 23** მარიაიობისთვე. ჩამოვიდა ლოიდ ჯორჯი და ინახულა მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### რამდენი ზედმეტი ხარჯი უნდა იხადოს ინგლისმა.

ცნობილ ინგლისელ ეკონომისტის სიდნეი ვების დაახლოვებითი გამოანგარიშებით, ომი რომ გათავდეს 1917 წელში, ინგლისმა ყოველწლიურად უნდა იხადოს 350 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ე. ი. სამ-ნახევარ მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე ომის დაწყებამდე იხდიდა. ამ ფულის ანგარიშში შედის ორი მილიარდი მანეთი პროცენტების დასაფარავად, ერთი მილიარდი თვით ვალის ჩასაქრობად და დარჩენილი ნახევარი მილიარდი სამხედრო პირების პენსიებად და ახალ შეიარაღების საწარმოებლად. მთავრობა იძულებული იქნება მრავალი წლის განმავლობაში ყოველწლიურად იხადოს ეს სამი მილიარდი მანეთი, იქნება ოთხი მილიარდიც იმ ზედმეტი ხარჯის დასაფარავად, რომელიც დღევანდელმა ომმა გამოიწვია.

### რუმინეთის საომარი გზები.

თუმცა მობილიზაცია და ჯარის თავის მოყრა რუმინეთში ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ ეჭვი აღარაა, რომ რუმინეთი უკვე ბრძოლაში ჩაება და მისი პირველი იერიშები ავსტრიასა და გერმანეთისთვის მოულოდნელი იყო. რუმინეთის მთავარი სამოქმედო ადგილები, რომელნიც მოკავშირეებისთვის ინტერესს წარმოადგენენ, სამის მხრით მდებარეობს: ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ჩრდილოდასავლეთით კარპატები, სამხრეთით —დუნაი.

### ბულგარეთის წინააღმდეგ

სათრანგეთის მთავრობის ოფიციოზი, გაზეთი „ტანი“ მოითხოვს, რომ რუსეთმა და რუმინეთმა მთელი თავიანთი შეერთებული ძალა პირდაპირ ბულგარეთის წინააღმდეგ გაგზავნონ, თუნდაც ამას მოჰყვეს ავსტრიის წინააღმდეგ რუსეთის შემოტევის შესუსტება. გაზეთის აზრით, მოკავშირე სახელმწიფოთა ნამდვილი ინტერესის შეგნება მოითხოვს, რომ პირველ ყოვლისა ბულგარეთის სამხედრო ძლიერება იქმნას დამარცხებული.

### საბერძნეთში

პოლიტიკური ბარომეტრის ისარი მეტის მეტ დაუდეგრობას იჩენს. მისი მიმართულება დიამეტრულად იცვლება თითქმის ყოველს საათში. ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა თათბირი უცხო სახელმწიფოთა ელჩებისა საბერძნეთის პრემიერთან და ამ უკანასკნელისა საბერძნეთის მეფესთან. თათბირს მკაცრი საიდუმლო ხასიათი აქვს. მიუხედავად ფორმალური აკრძალვისა, საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქში ცხარე მიტინგები იმართება. გერმანეთის მომხრე აფიცრებსა და ჯარში ამბოხების სული ტრიალებს. მეფესა და გერმანოფილურ ოფიცრებ შორის დიდი ერთსულოვნებაა.

### რუმინეთის პირველი გამოსვლა

რუმინეთის ჯარის მთავარ-სარდლობა მეფე ფერდინანდმა მიიღო. რუმინეთის პირველ გამარჯვებას ასე იტყობინებიან: თითქმის ომის გამოცხადებისთანავე 15 მარიამობისთვეს ღამით რუმინელები ჰუნგრეთის საზღვარზე გადავიდნენ და სისტემატიურად მთელს ფრონტზე წინ მიდიან.

სამხრეთის ფრონტზე ავსტრიის ნავები ზემნიცას და ტურნ-მაგურელს ზარბაზნებს უშენენ.

19 მარიამობისთვეს ბუქარესტის მცხოვრებთ ემცნოთ, რომ ქალაქს ცეპელინი დუნაის მხარეს დასტრიალებსო. ასტყდა ზარების რეკა. ცეპელინმა ბულგარეთისკენ გადაუხვია. ქალაქში განცხადება გააკრეს, სადაც ნათქვამია: როდესაც ცეპელინები გამოჩნდება ზარების რეკით გამცნობთო. კვირა-უქმე დღეებში ეკლესიებში ზარებს აღარ დაჰრეკავენ.

# უკანასკნელი დეპეშები

„რუს. ვედომოსტის“ ცნობით ბულგარელები რუმინეთის ადგილ მამულზე გადავიდნენ, მაგრამ რუმინელებმა ისევ უკან დაახევინეს.

—

დიპლომატიურ წრეებში ხმა გავრცელდა, რომ საბერძნეთი თან და თან მოკავშირეებისაკენ იხრებაო.

—

ადრიანოპოლიდან ოსმალეთის რამდენიმე დივიზია ბულგარეთის ჩრდილო საზღვრისკენ გადავიდა.

—

ამბობენ, საბერძნეთი თუ ომს არ გამოაცხადებს და ცხადად მოკავშირეებს არ მიემხრობა, ისეთს შეიარაღებულ ნეიტრალობას დაიცავს, რომ მოკავშირეებს ხელს არ შეუშლისო.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: გერმანელებმა დახავლეთ ფრონტიდან ტრანსილვანიაში ავსტრიელთა მისაშველებლად 50,000 მეომარი გადაიყვანესო.

—

უცნაური მდგომარეობა შეიქმნა ბალკანეთში. რუმინელებსა და ბულგარელებს შორის უკვე სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. ბუქარესტის ოფიციალი ცნობა იუწყება, რომ მტერს მძაფრი იერიშები მოაქვს დუნაის ხიდზე, რომელიც ქალაქ ტუტრაკანს ბუქარესტის რკინის გზასთან აერთებს, მეორე მხრივ ჯერ კიდევ, როგორც სატახტო ქალაქები [illegible] მდგვცემენ, დადასტურებული არ არის რუმინეთსა და ბულგარეთს შორის ფორმალურად ომის გამოცხადება. ამ უკანასკნელ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ბევრი მაგალითია იმისა, რომ ომი ფაქტიურად სწარმოებს, თუმცა ხიტყვიერად გამოცხადებული არ არის. ასე დაიწყო. მაგალითად, რუხ-ეთიაპონიის ომი.

—

რიგის მიდამოებში ხელახლად ბრძოლა გაცხოველდა. გერმანელები სცდილობენ დიდძალ ჯარით იერიშების მიტანას, ამოქმედებენ არტილერიას და შხამიან ბოლს.

—

უწ. სინოდში ვოლჟინის თანამდებობაზე ხახ. საბჭოს წევრს სტიშინსკის ასახელებენ.

—

პეტროგრადში დიდი ცეცხლი გაჩენილა. გუტეევის კუნძულზე ბორბლის საწყობები იწვის.

—

ბულგარეთს გერმანეთისთვის პირობა დაუდვია რუმინეთს ომს გამოუცხადებ იმ შემთხვევაში, თუ 200,000 ოსმალო მეომარს მომაშველებთო. როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: ბულგარეთმა 19 ამ თვეს დილის 10 საათზე რუმინეთს ომი გამოუცხადაო.

—

ბულგარეთის ჯარის მყუდროებას საბერძნეთის მიწა-წყალსა და სალონიკის ფრონტზე იმით ჰხსნიან, რომ ბულგარეთის მთავარმა შტაბმა მთელი თავისი ჯარი გადახხ-გადმოახხა საჭიროების და გვარადაო.

—

რუმინეთის ჯარმა ჰუნგრეთში 25 კილომეტრის სიგრძეზე შეჭრილა, ისე რომ ავსტრიელებს სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

—

დანიის ელჩმა გერმანეთს განუცხადა, რომ დანია მკაცრ ნეიტრალობას დაიცავსო.

—

პეტროგრადში აღმოუჩენიათ 700 ათასი ფუთი ქაღალდი, რომელიც თურმე სხვა და სხვა კანტორებს ეკუთვნოდა. ქაღალდი სადგურის უფროსებს დროზე არ გაუტანინებიათ და წვიმისგან სულ გაფუჭებულა.

# დეპეშა

(საკ. კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი.** 23 მარიამობისთვეს ქალაქის მთავარ საპოლიციო ნაწილის მთვრალმა გოროდოვოიმ მოჰკლა თ-დი ანდრია ფარნაოზის-ძე მიქელაძე. ქუთაისის მცხოვრებნი ღრმად ილშფოთებულნი არიან.

ვიღაც უცნობ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილმა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს დამსახურებული ექიმი გაბრიელ გოკიელი. მეეტლე შეიპყრეს.

ჯაიანი.

# ფინეთის ავტონომია

(საკუთარ კორესპოდენტისაგან)

**I. ფინეთი როგორც სახელმწიფო; II. ფინეთის ძველი კონსტიტუცია; III, ფინეთის განახლებული კონსტიტუცია და IV. ფინეთის არსებული მდგომარეობა.**

### III. ფინეთის განახლებული კონსტიტუცია

**მართვა-გამგეობის ახალფორმის და სახეიმო წესდების პროექტების წარსულიდან.**[1]) როგორც მოგახსენეთ, ფინეთის კონსტიტუცია დამყარებული იყო სვერიგეთის ძველ ძირითად კანონებზე, რომელნიც გამოისახებოდენ 1772 და 1789 წლების დებულებებში. ეს ძირითადი კანონები დაედვნენ საფუძვლად ფინეთის ახალ მართველობას 1809 წლიდან, რომლის მართველ ორგანოების სათავეშიც მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ. ფინეთის ერი კმაყოფილი იყო ასეთის თავისუფლებით, როდესაც მის შინაურ ცხოვრებაში არვინ ერეოდა; მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ სვერიგეთიდან გადმოთესლილ კონსტიტიტუციას გადახალისება, გაეროვნება ესაჭიროებოდა. ნათხოვარ კონსტიტუციაში ბევრი რამ იყო ფინეთისთვის ზედმეტი და ბევრი რამ დაკლებული. ცხადი იყო, რომ უნდა შემუშავებულიყო ახალი კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად იგივე სვერიგეთის ძირითადი კანონები დაედებოდენ და რომლის შემუშავებაშიც უკვე მხოლოდ ფინეთის ერი მიიღებდა მონაწილეობას. ამასთან, საჭირო იყო ძველი კონსტიტუციის გარდაქმნა დროთა მოთხოვნილებათა მიხედვით, რათა მომავალში ფინეთის ერი დაცული და უზრუნველი ყოფილიყო რუსეთის შესაძლებელ ძალდატანებიდან. ამ მიზეზთა გამო, ფინებმა მოინდომეს ახალ კონსტიტუციის შექმნა, რისთვისაც დაიწყეს მოქმედება იმპერატორ ალექსანდრე მეორის დროს, როდესაც რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა მოისპო და მოსალოდნელი იყო კიდევ სხვა მრავალი ცვლილებანი. იმპერატორი ალექსანდრე მეორე ძალიან კარგის თვალით უყურებდა ფინეთს და ბევრი სიკეთე დასდო; მან ხორცი შეასხა იმ ჩონჩხს თავისუფლებისას, რომელიც ალექსანდრე პირველმა ფინეთს უანდერძა. მან მოიწვია 1863 წელს ფინეთის სეიმი, რომელმაც ბევრი საჭირო და დიდმნიშვნელოვანი საქმეები გააკეთა. ალექსანდრემ თავისი ლიბერალური მოქმედებით უკვდავი ძეგლი აიგო ფინეთის ერში, რისთვისაც ფინები დიდის პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებენ მის სახელს.

აი ეს დრო იყო სწორედ შესაფერისი სამოქმედოთ და ფინებიც შეუდგენ, რასაც შედეგად მოჰყვა იმპერატორის მიერ დამტკიცება იმ 1864 წლის საკომისიო ინსტრუქციისა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა **სახეიმო წესდებასთან ერთად მართვა-გამგეობის ახალი ფორმის (ახალ კონსტიტუციის) პროექტები.**

შესაძლებელია ფინებს მიზნისთვის სავსებით მიეხწიათ, რომ მათ არ გადაღობებოდა ფინეთის მაშინდელ გენერალ-გუბერნატორი ბარონი **რაკასოვსკი**, რომელმაც იმპერატორს ვრცელი მოხსენება მიართვა ახალ ფორმის მართვა-გამგეობის პროექტის წინააღმდეგ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ სეიმის გახსნის დროს 1867 წელს, იმპერატორ ალექსანდრემ თავის სეფესიტყვაში ბრძანა, რომ მისი სურვილები ახალ მართველობის პროექტეს შესახებ ვერ სრულდება საკითხის სირთულის გამოო. ამასთან ერთად მისმა უდიდებულესობამ სეიმს გადასცა განსაკუთრებულად პროექტი სასეიმო წესდებისა. ეს პროექტი სასეიმო წესდებისა სეიმმა მოიწონა და იმპერატორმაც დაატკიცა იმავე 1867 წელს. ეს სასეიმო წესდება პირველი წესდება იყო, რომელიც ფინეთმა მიიღო რუსეთის იმპერატორისაგან. მართალია ამ სასეიმო წესდებას არავითარი ცვლილება არ შეუტანია თვით სასეიმო არჩევნების საფუძველთა წეს-რიგში, მაგრამ მაინც დიდმნიშვნელოვანი იყო, რადგან მან სეიმის მოქმედებას რეგულიარული და მუდმივი ხასიათი მისცა და ამასთან ერთად ნიადაგი განუმტკიცა ფინეთის კონსტიტუციას. რაც შეეხება ახალ ფორმის მართველობის წესდების პროექტს, იგი გადადებასთან ერთად დაიმარხა; თუმცა ფინები თავისას მაინც არ იშლიდენ და ეძებდენ შესაფერს დროს და შემთხვევას.

ეს საკითხი კვლავ წამოყენებულ იქმნა **მეორედ** ალექსანდრე მესამის დროს, რომელმაც 1884 წელს ბრძანება გასცა, რათა შედგენილი ყოფილიყო ფინეთში მომქმედ ყველა **კანონთა-კრებული.** ამისთვის შედგენილ იქმნა საგანგებო კომისია, რომელიც შეუდგა ფინეთის კანონთა-კრებულის შედგენას. ამ კომისიის წინასწარ ნამუშავრის საფუძველზე ფინეთის სენატმა შეიმუშავა ძირითად-კანონების ახალი პროექტი, რომელიც, პრეზიდენტ პროფესორ ლეო მეხელინის სიტყვით, არავითარ ცვლილებას ძირითად კანონებისას არ შეიცავდა, გარდა მათ (არსებულ კანონების) ჩამოყალიბებისა და სისტემაში მოყვანისა. ეს პროექტი წარდგენილ იქნა 1891 წელს, მაგრამ, იმავე პრეზიდენტ ლეო მეხელინის[2]) სიტყვით, არასოდეს არ მოხსენებია იგი იმპერატორ ალექსანდრე მესამეს. ამნაირად, საკითხი კვლავ გადაიდვა დიდი ხნით, როდესაც დადგა მთელ რუსეთის იმპერიაში განმანთავისუფლებელი ხანა, რასაკვირველია, ამ დროს მოთხოვნილება, უწინდელთან შედარებით, გაცილებით დიდი იყო. ფინებმა ახლა **მესამედ** წამოაყენეს საკითხი ახალ ფორმის მართველობისა და ამასთან ერთად მოინდომეს შეცვლა უკვე დაძველებულ 1867 წლის სასეიმო წესდებისა. მკითხველს, რასაკვირველია, ეხსომება, რომ ყოველი ცვლილება კანონმდებლობაში სეიმის დაუკითხავად არ მოხდებოდა და ამიტომ ამ შემთხვევაშიც ასე იყო. სეიმმა შემუშავა ახალი **სახეიმო წესდება 1906 წელს**, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ II დაამტკიცა იმავე წლის 20 თიბათვეს და ძალაში შევიდა 1907 წლიდან, რომელიც დღევანდლამდე მოქმედებს. ამ წესდების მნიშვნელობის შესახებ იხილეთ ქვემოდ, ხოლო ეხლა მოგახსენებთ უმთავრეს საკითხის შესახებ. სენატმა შეიმუშავა ახალი პროექტი ახალ ფორმის მართველობის წესდებისა 1907 წელს და გადასცა სეიმს; ჯერ იყო, მაგრამ მას (პროექტს) იმპერატორამდე დღესაც ვერ მიუღწევია და ამ რიგად, დღესაც იმავე მდგომარეობაში არიან ფინები, რომელშიაც თავიდანვე იყვნენ. ვერ ეღირსათ საკუთარი, ჩამოყალიბებული სრული კონსტიტუცია! 1907 წლის პროექტი ახალ ფორმის მართებლობის წესდებისა საყურადღებოა და ცოტას შევჩერდებით.

ამ პროექტის შინაარსის უმეტესი ნაწილი შეადგენდა ფორმალურ გადამუშავებას ძველადვე მომქმედ დადგენილებათა, მაგრამ ზოგიერთ საკითხებში პროექტს მხედველობაში ჰქონდა **განვითარება არსებულ კონსტიტუციისა**, დროის მოთხოვნილების მიხედვით. ამ ცვლილებიდან შევეხები მხოლოდ რამდენიმე საკითხს.

მართალია ფინეთს საკუთარი კონსტიტუცია აქვს, რომლის ძალითაც საკანონმდებლო ორგანო სეიმი და სამართველო ორგანო სენატი არსებობენ, მაგრამ ამ უკანასკნელთა ერთი-ერთობა ვერ იყო სათანადოდ და ფინეთისთვის სასარგებლოდ გამორკვეული. სენატი, რომელიც წარმოადგენს, როგორც ადრეც მოგახსენეთ, თითქმის სამინისტროს, სრულიად უპასუხისმგებლოა სეიმის წინაშე. თვით სენატის წევრების დანიშვნის წეს-რიგიც სრულიად არ არის ისე განსაზღვრული, როგორც ამას მტკიცე კონსტიტუცია მოითხოვს! ამავე დროს სენატის საწევრო კანდიდატებს, როგორც მოგეხსენებათ, არდგენს უმაღლესად დასამტკიცებლად ფინეთის გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც კონსტიტუციიდან ერთად-ერთი სახელმძღვანელო **პრინციპი** აქვს. ეს პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ **სენატორები უნდა აღჭურვილნი იყვნენ ხალხის ნდობითო.** ეს მხოლოდ საზოგადო ფრაზაა, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როცა კონკრეტიულად არ არის გამოხატული ის საშუალება, რითაც უნდა გამოიხატოს ხალხის ნდობა თუ უნდობლობა. ასეთ პირობებში ყოფნა კონსტიტუციონურ ქვეყნისთვის ვერ არის სახარბიელო, რადგან ამნაირი პირობები მეტად ხელის შემშლელი და სეიმის მოღვაწეობის გამაბათილებელია. სანამ სეიმსა და გენერალ-გუბერნატორის შუა თანხმობაა,—საქმესაც

[1]) ამ საკითხის დაწვრილებითი გასაცნობად, იხილეთ პროფესორ ლეო მეხელინის წიგნი: Къ вопросу о ближайшемъ опредѣленіи правовыхъ отношеній между Россіею и Финляндіею. Гельсингфорсъ, 1909 г.

დ. ჩ.

[2]) მართალია პროფესორი ლეო მეხელინი ვიცე პრეზიდენტი იყო სენატისა, მაგრამ მას, სამართლიანად, პრეზიდენტს უძახდენ, რადგან მის სახელმწიფო მოღვაწეობის დროს, ის თავისუფალი ხანა იყო ფინეთისთვის, როდესაც ოფიციალური პრეზიდენტი გენერალ-გუბერნატორი ფინეთისა, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სენატის მუშაობაში. ლეო მეხელინი იყო ფაქტიური პრეზიდენტი და ამასთან შესაფერისი და ხალხის ნდობით და სიყვარულით აღჭურვილი პიროვნება. იგი ხალხის სახელ წოდებით „უგვირგვინო კოროლი“ იყო.

დ. ჩ.

# ახალი ამბავი

✦ **ერობის საკითხი.** მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის ფ. ა. ლიზოგუბის ხელმძღვანელობით საბჭომ უკვე შეიმუშავა საბოლოო პროექტი კავკასიაში ერობის შემოღებისა და ამ დღეებში წარედგინება მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

✦ **თავშესაფარების რაოდენობა.** თანახმად კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა მომწყობ მთავარ რწმუნებულის გენ. თამამშევის თხოვნისა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ გაუგზავნა მოხსენება მისდამი რწმუნებულ თავშესაფართა რაოდენობისა და იმ თანხის მდგომარეობისა, რომელიც მთავარ-რწმუნებულმა გადასცა საზოგადოების განკარგულებაში. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობას ომისაგან დაზარალებულთათვის ჰქონია სამი თავშესაფარი: ს. უდეში (ახალციხის მაზრა), ქ. ახალციხეში და ქალაქ ბათომში ამ თავშესაფარების შესანახად იმ 60 ათას მანეთიდან, რომელიც მთავარ რწმუნებულს გამოუგზავნია, ბათომისა, ახალციხის და უდეს თავშესაფარების შესანახადა მაისის, თიბათვის, მკათათვის და მარიამობისთვეში შესანახად გაუგზავნია 19 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი ფული 41 ათასი მანეთი ენახება გამგეობას ბანკში.

✦ **თუშების შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობამ** ოვის წარმომადგენლად მატყლისა და სხვა ნაწარმოების გასაყიდველად კაი ფასებში და საერთოდ მაზანდის შესატყობად სხვა და სხვა კუთხეში აირჩია ი. თ. ბობლიაშვილი, ხოლო საგანგებო კომისიაში, რომელიც ამ ფასებს განიხილავს აირჩია ბ. ცისკარაშვილი, ილ. ასადაშვილი და ი. ქადაგიძე. ამხანაგობაში შედის შემდეგი სოფლის საზოგადოებანი თუშეთისა: წოვისა, ფარსმისა, დართლოსი, ნაციხარისა და ჯვარბოსლისა.

✦ **ბამბის ნათესი.** მიწად მოქმედების რწმუნებულის კანცელარიამ შეაგროვა ცნობები ბამბის ნათესობის რაოდენობისა კავკასიაში წლეულს. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს წელს ნაკლებ დაუთესიათ ბამბა კავკასიაში ვიდრე შარშან: მაშინ როცა ბამბის ნათესს შარშან ეჭირა 148,000 დეს. წელს ამ ნათესს უჭერია 115,000 დესეტინა მიწისა. მიზეზი მუშა ხელის და საქონლის შემცირებაა ნაჩვენები.

✦ **ქალაქის საბჭოს** პირველი სხდომა ნაცვლად 10 ენკენისთვისა დანიშნულია 12 ენკენისთვეს. განსახილველ საკითხთა შორის საბჭოს მოხსენდება გადასადებ სნეულებათა მსვლელობის შესახებ, სურსათის საქმის შესახებ, პოლიტეხნიკუმის საკითხი და სხვა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის** განყოფილები გაიხსნა ს. ბაკურიანში.

✦ **ხოლერა.** 24 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე ხოლერიანთა საავადმყოფოში № 40 ირიცხებოდა 68 ხოლერიანი, მოიყვანეს ახლად 7. გარდაიცვალა 2. საეჭვო იყო 11.

25 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 74 სული, საეჭვო 13.

✦ **საეჭვო ცნობების მოგროვება.** თბ. პოლიცმეისტერი აცნობებს მცხოვრებთ შემდეგს: ამერიკის გაზეთები დაკოტა ფრემ პრესი", „დაკოტა ფოლკსკცეიტუნგი" და „ერეკა რუნდშტაუ" იმპერიის გლეხკაცობის სახელზე გზავნის წერილებს გერმანულ ენაზე. ამ წერილებში რედაქციები სთხოვენ მათ აცნობონ ცნობები ჯარში გაწვეულთა, დაჭრილ და შინ დაბრუნებულ მეომართა შესახებ, სხვა და სხვა სანოვაგის ფასები და სხ. აგრეთვე სთხოვენ გამოუგზავნონ რუსულ გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობები ომის ამბების შესახებ. ვინაიდან ეს ცნობები პოლიცმეისტერის აზრით გროვდება ბოროტ განზრახვით მტრის მიერ, ამისათვის სთხოვს იგი, ეს განცხადება აუწყოს ფართე საზოგადოებას და გამოაკრან ყველა დაწესებულებებში, ხოლო ეს წერილები და კონვერტები გაგზავნონ მახლობელ საპოლიციო უბნებში.

✦ **ფასი გოგირდზე.** კავკასიის საიმპერატორო საზოგადოება დღემდის გოგირდს ჰყიდდა პირობით ფუთს დაფხვნილს 20 მანეთად და კოშტს 15 მანეთად. ეხლა, როგორც მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულმა გამოარკვია, ფუთი გოგირდი საზოგადოებამ უნდა აძლიოს დაფხვნილი 12 მ. 50 კ. და კოშტი 11 მანეთად. იმ პირთ, ვისაც გადახდილი აქვთ წინანდელი ფასი, ზედმეტ ფულს მიიღებს უკანვე საზოგადოებიდან 1 ენკენისთვიდან.

✦ **ჩამოიყვანეს დაჭრილნი:** პრაპორშჩიკები მ. გ. მახარაძე, გ. ი. გოთაძე, მ. მ. მგალობლიშვილი, ა. ი. სინაურიძე, ვ. მ. გენოშვილი, გ. შ. ხმალაძე და ლ. ნ. რატიანი.

✦ **ქალაქის წყალი.** ქალაქის ბიურომ, რომელიც წყალის საქმეს განაგებს, გადასწყვიტა სამი თვის განმავლობაში დაასრულოს ახალ წყაროებიდან წყლის მოწვდენა. განზრახულია შემდეგ წყაროებიდან: მუხრანისა, ნატახტარისა, ბულაჩარისა და წილკანისა. ბიურომვე დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საბჭოს წინაშე, რათა საბჭომ კიდევ 55 ათასი მანეთი გადასდოს წყალის საქმისათვის, გარდა იმ 25 მანეთისა, რომელიც უკვე გადადებულია ამ საქმეზე.

✦ **ოპერეტა.** დღეს, 26 აგვისტოს, ხარფუხის საზოგადო კლუბში რუსულ ენაზე გაიმართება მხიარული ოპერეტტა. ოპერეტტაზე შესვლა უფასოა.

✦ **ტატიანის კომიტეტს** გაეგზავნა საანკეტო ცნობები ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედების შესახებ.

✦ **საჯარო ვაჭრობა.** „კრუჟოკის" ქვეშ მოთავსებულ დუქნების იჯარით გაცემა 27 მარიამობისთვისთვის დაინიშნა.

✦ **ცქვიტის წიგნაკი.** რედაქციამ მიიღო ცქვიტის (ა. ხახუტაშვილის) საყმაწვილო მოთხრობები.

✦ **მაღაზიების თავდასხმის დროს** გატაცებული საქონელი აღმოაჩინეს საპიორნი ქუჩაზე მ. ლიდიაევის ბინაზე და გრიბოედოვის ქუჩაზე ე. კირპიჩოვის ბინაზე.

✦ **თბილისის ქართულ ფილარმონიულ** საზოგადოების სამუსიკო სკოლაში მოწაფეთა მიღება დღეიდან, 26 მარიობისთვეს დაიწყება. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

✦ **მეეტლეთა საყურადღებოდ.** თბ. პოლიცმეისტერმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ავალებს თავის თანაშემწეს ლორთქიფანიძეს აუწყოს მეეტლეებს, რომ სწრაფი მოძრაობა ქალაქში აკრძალულია. აგრეთვე მცხოვრებთაც აუწყებს, რომ არ აიძულონ მეეტლეები სწრაფ მოძრაობაში.

✦ **ამერიკიდან ჩამოვიდა** თბილისში შეერთებულ შტატების კომერციულ ნაწილის აგენტი პეტროგრადში ბ-ნი ხეტტინგტონი.

✦ **სამოსამართლო პალატის** უფროსი თავჯდომარე სენატორი ჩებიშევი დაბრუნდა თბილისს და თვის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **სახალხო სახლის** გამგებლობა თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ნაცვლად დაევალა ქალაქის გამგეობის წევრს ბ. ათაბეგოვს.

✦ **ქართულ სათავად-აზნაურო** ქალთა სასწავლებელში გუშინ დაიწყო მოწაფეების განმეორებითი გამოცდა. სწავლა 1 ენკენისთვეს დაიწყება.

✦ **შაქარი.** ქალაქის დუქნებიდან დღეიდან დაარსებისა 20 მარიამობისთვემდე 661,383 სულისთვის მიუციათ შაქარი.

✦ რედაქციამ მიიღო შემოწირულება ბ. იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასაგან ხუთი (5) მანეთი ჭანელების სასარგებლოდ.

✦ **გადასადები სნეულებანი.** ქალაქის საავადმყოფოში 25 მარიამობ. იყვნენ ქუნთრუშით 56, ყვავილით 6, სახადით 95, ყელჭირვებით 7.

**ღ. ხონი.**

ხონის დრამ. საზ. გამ. გამგეობა ამ მოკლე ხანში გამართავს სახალხო სეირნობას, რომლის შემოსავალი თეატრს მოხმარდება.

— კვირას, 21 აგვისტოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „გამცემი," გედევანიშვილისა.

— ენკენისთვის პირველ რიცხვებში სახელოსნო სასწავლებელში გაიმართება ლატარია-ალეგრი, სადაც ჩაგდებულ იქმნება მოწაფეთა მიერ დამუშავებული სხვა და სხვა ნივთები.

— ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყო 20 მარიამობისთვიდან.

— კოოპერატივმა „იმედმა" მიიღო 100 ფუთამდის თავი შაქარი. გირვანქას ჰყიდის 25 კაპ.

— აქ ყოველ პარასკეობით იცოდნენ ბაზრობა. ამ ბაზრობაზე სოფლელებს მოჰქონდათ თავისი ნაწარმოები, ამით მათ სახსარი ეძლეოდათ ოჯახის გამოკვებისა. საუბედუროდ ეს ბაზრობა დღეს უკვე მოისპო. ამის მიზეზი უფრო ვაჭრები არიან. როდემდის გასტანს სოფლელების ასეთი შევიწროება? ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით სოფლელებმა.

— ხონში გადმოიყვანეს დარაჯებად ქობულეთიდან 6 გამაჰმადიანებული ქართველი.

— ხუთშაბათს 18 აგვისტოს, ბოქაულმა დაიბარა ვაჭრები და გამოუცხადა დარაჯების მომატება.

---

არა უჭირს-რა, მაგრამ, თუ უკანასკნელი კარგის თვალით ვერ უყურებს სეიმს, მაშინ მას მტკიცე საშუალება აქვს შექმნას შეუთანხმოებლობა კანონმდებელ სეიმსა და უპასუხისმგებლო აღმასრულებელ ორგანო სენატს შორის. აქედან მკითხველი აშკარად დაინახავს, თუ რა არსებითი ნაკლი ჰქონია ფინეთის კონსტიტუციას. აი, ამ ნაკლის შევსებას სცდილობდენ ფინები თავიდანვე და განსაკუთრებით გენერალ-გუბერნატორ ბობრიკოვის შემდეგ. ამ მიზნის მისაღწევად შეტანილ იქნა განსაკუთრებითი ახალი მუხლები ზემო დასახელებულ **1907 წლის ახალ ფორმის მართველობის წესდების პროექტში**, სადაც მოითხოვდენ. **სენატის პასუხის მგებლობას სეიმის წინაშე**, რითაც სენატორები, ვითა მინისტრები, პასუხს აგებდენ სეიმის წინაშე და საჭირო იქნებოდა მათთვის **სეიმის ნდობა.** ამასთან ერთად მოითხოვდენ **ინტერპელიაციის უფლებას**, ესე იგი, სენატორი მოვალე იქნებოდა სეიმში დეპუტატის შეკითხვაზე პასუხი გაეცა და თავი ემართლებინა.

ამის გარდა, ამ პროექტით მოითხოვდენ **მონარქის საკანონმდებლო და საბიუჯეტო უფლებათა შეზღუდვას სეიმის სასარგებლოდ.** ამ მოთხოვნილებათა მნიშვნელობაც ყველასათვის ცხადია, მეტადრე საბიუჯეტო საკითხი, რომელშიც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მონარქ-დიდ მთავარს დიდი უფლებები აქვს.

ეს დიდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებანი შეადგენდენ სრულიად ახალ მოვლენას ფინეთის კონსტიტუციაში, მაგრამ ამის მომთხოვ სამართველო წესდების 1907 წლის პროექტს ის ბედი ეწვია, რაც მის წინამორბედ 2 პროექტს!.. ამ პროექტმაც ვერ მიახწია მის უდიდებულესობამდე!.. ფინეთი დარჩა ძველ პირობებში... სენატი კვლავ თავისუფალია თვით მოქმედებაში!..

**1906 წლის სასეიმო წესდება**[3])

ამ წესდებაში, სხვათა შორის, განმარტებულია წეს-რიგი ფინეთის **ძირითადი კანონების გამოცემისა, შეცვლისა, გამოქვეყნებისა და უარყოფისა.** სასეიმო წესდება სეიმის დეპუტატთა არჩევნების წეს-რიგს გარდა შეეხო თვით ძირითად კანონებსაც და დიდი ცვლილება შეიტანა კონსტიტუციაში, როგორც მაგალითად:

I. ძველ კონსტიტუციის წინააღმდეგ, **გათანასწორებულ იქნა წოდებანი;** ოთხ პალატიანი სეიმი გადაკეთებულ იქნა **ერთ პალატიან სეიმად,** სადაც მთელი ფინეთს ერი გზავნის განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა 200 დეპუტატს.[4])

II. დედაკაცები სრულიად გათანასწორებულ იქნენ მამაკაცებთან უფლებებში.

III. 24 წლის მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, უფლება აქვს იყოს ამომრჩევლად და არჩეულად (დეპუტატად).

IV. სეიმი იკრიბება ყოველ წელს და არა 5—6 წლის განმავლობაში, როგორც ეს იყო ძველად და აგრეთვე, წინააღმდეგ ძველ კონსტიტუციისა, სეიმის დეპუტატთა სამოქმედო დროდ ნაჩვენებია ერთი წლის მაგიერ 3 წელიწადი და

V. ძირითად კანონების შესაცვლელად, ძველ, ოთხ წოდებათა პალატების თანხმობის მაგიერ, შემოღებულ იქნა შემდეგი წესი: ძირითად კანონის შესაცვლელად საჭიროა, რომ სეიმმა უბრალო ხმის უმეტესობით სურვილი გამოსთქვას საზრის (პროექტის) გადაცემისა მომავალ შემდეგ სეიმში, რომელსაც შეუძლია მთელ დეპუტატთა ორი-მესამედი ($^2/_3$) ხმით მიიღოს და სეიმის სახელით დასამტკიცებლად მის უდიდებულესობას გადასცეს სტატს-სეკრეტარიატის საშუალებით. ამ მუხლს შემდეგი შენიშვნა აქვს: ძირითად კანონის შეცვლა შეუძლია ერთ სეიმსაც, თუ დეპუტატთა ხუთი-მეექვსედი ($^5/_6$) სცნობს ცვლილების სიჩქარის საჭიროებას და შემდეგ ორი-მესამედი ($^2/_3$) ხმით მიიღებს პროექტს.

ესენი არიან ის უმთავრესი ცვლილებანი, რომელნიც შეტანილ იქნენ კონსტიტუციაში ახალ სასეიმო წესდების საშუალებით. ამ წესით უკვე რამდენიმე სეიმი შესდგა 1907 წლიდან. ამის შემდეგ, დღევანდლამდის არავითარი ცვლილება არ შესულა **კანონიერის გზით** ფინეთის კონსტიტუციაში და სენატიც ძველებურად უპასუხისმგებლოა სეიმის წინაშე, რის მეოხებითაც საშვალება მიეცა ვისაც ჯერ იყო შეექმნა ის საჭოჭმანო პირობები და უსიამოვნებანი, რომელშიც დღეს იმყოფება ფინეთი და რომელზედაც ქვემოდ მოგახსენებთ.

**დ. ჩიქოვანი.**

(დასასრული იქნება)

[3]) იხილეთ სასეიმო წესდება შვედურ და ფინურ ენებზე. დ. ჩ.

[4]) მკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებაზე, რომ პროექტი წოდებათა გათანასწორებისა და სეიმის ერთ პალატად გადკეთებისა—გავიდა აზნაურთა პალატაში. დ. ჩ.

---

# ნობათი

რაბინდრანათ თაგორიდან

## ნამგალა მთვარე

**სავანე.**

თვალუწვდენი ველის ჯვარედინზე სწორედ იმ დროს მივაბიჯებდი მარტოდ-მარტო, როდესაც კაშკაშა მზე ძუნწი დედაბერივით ჰპარავდა მსოფლიოს ოქროს უკანასკნელ სხივთ.

დღის სინათლე შეყვარებულივით ეხუტებოდა გულ-მკერდში ღამის წყვდიადსა და სამგლოვიარო თალხებში გამოწყობილი, დაქვრივებული დედამიწა, რომლის დღეებიც დათვლილი იყო, დუმილს მისცემოდა.

უსაზღვრო ცის სივრცეში გაისმა უცებ სევდის აშლილი ბავშვის გულგასაგმირი სიმღერა. ჰკვეთდა იგი **წყვდიად-უხილავს** და ღამის იდუმალებაში თვისი ლექსის მოკიაფე კვალს სტოვებდა.

უდაბნოს ბოლოს, შორს სოფელში, სადაც შაქრის ლერწამი თავდება, მავზის (ბანანის) ჩრდილში, წერწეტა ფუფულათა, ქოქუსთა და მომწვანო პურის ხეთა შორის მოსჩანდა ბავშვის სავანე.

უტვისტომო შარაზე შევჩერდი ერთ წამს, ზევიდან ვარსკვლავნი დამქათქათებდნენ და ვიხილე წყვდიადით მოცული მსოფლიო, რომელიც ურიცხვ სავანეთ იხუტებდა მკერდში; აურებელ აკვან-სარეცელთ, მშობელთა გრძნობა-გონებას, ღამის ჩირაღთ და ჰაბუკ სიცოცხლეთ შეეფარებინათ თავი ამ სავანეთათვის; და იხარებდნენ მსოფლიოსთვის უცნობი და ფასდაუდებელი სიხარულით.

**ზღვის პირად.**

დაუსრულებელ ქვეყანათა ზღვის ნაპირას ურთიერთს ხვდებიან ბავშვები.

უსაზღვრო ცის კამარა უძრავად დაჰყურებს მათ და შმაგი ზვირთნი დათარეშობენ ზღვაზე.

სილის სახლებს აგებენ და ცარიელი სადაფებით ერთობიან. კანჯოთ სწნავენ ხის დამჭკნარ ფოთოლთაგან და ზღვის უზომო სივრცეზე უშვებენ. ბავშვნი თამაშობენ ქვეყანათა ზღვის ნაპირას.

ცურვა არ იციან მათ, არც მებადურობა. ზღვაში ყვინთავენ მარგალიტის მაძიებელნი, სოვდაგარნი შორს მისცურავენ ხომალდით, ბავშვნი კი ზღვის კენჭებს აგროვებენ, რომ ხელახლა მიმოაბნიონ. არ ეძიებენ ისინი ამ ქვეყნის ფარულ საუნჯეთ და არც მებადურობა იციან. სიცილით მიილტვის მათკენ ზღვის ღელვა და ფერმკრთალად ბრწყინავს სილიანი ნაპირის ღიმილი. შინაარს მოკლებულ ლექსთ უგალობენ ბავშვებს ყოვლის მმუსრავი ზვირთნი; სწორედ ასე უგალობს ჩვილ ყრმას, როდესაც ურწევს, მშობელი დედა. ზღვა ეთამაშება ბავშვთ და ფერმკრთალად ბრწყინავს სილიანი ნაპირის ღიმილი.

დაუსრულებელ ქვეყანათა ზღვის ნაპირას ურთიერთს ხვდებიან ბავშვები. ცის სივრცეში უგზო-უკვლოთ დათარეშობს გრიგალი, აზვირთებულ ტალღებში იღუპებიან ხომალდნი, სიკვდილს მოუცავს მთელი გარემო, ბავშვები კი თამაშით ერთობიან. დაუსრულებელ ქვეყანათა ზღვის ნაპირას ბავშვთა დიადი ყრილობაა.

**წ ყ ა რ ო.**

თუ უწყის ვინმემ, სიდან წარმოიშვება ძილი, რომელ ჩვილი ყრმის თვალებს დასციმციმებს?

დიახ, ამბობენ,—მისი ბინა იმ საოცნებო ქვეყანაშია, სადაც ციცინათელთაგან განათებულ ტყის ბინდბუნდში ორი გრძნეული ყვავილი ჰკიდიაო. იქიდან მოდის და ეამბორება ჩვილი ყრმის თვალებს. თუ უწყის ვინმემ, სიდან წარმოიშვება მძინარე ბავშვის ტუჩებზე მოციალე ღიმილი?

დიახ, ამბობენ,—ნამგალა მთვარის ქალწული მკრთალი შუქი შეეხო შემოდგომის ცელქი ღრუბლის ნაკვთს და იქ იშვა პირველად, დილის ცვარით განბანილ ძილში—ღიმილი, რომელ მძინარე ბავშვის ტუჩებზე მოციალობს.

სად იმალებოდა ამდენ ხანს, თუ უწყის ვინმემ, ტკბილი, ნაზი და სათუთი უმანკოება, რომელ ბავშვის ხელფეხზე ჰყვავის?

დიახ, როდესაც მშობელი ჯერ ისევ ქალწული იყო, სიყვარულის ნაზი და უტყვი საიდუმლოებით ავსებდა მის გულს ეს უმანკოება,—ის ტკბილი, ნაზი და სათუთი უმანკოება, რომელიც ბავშვის ხელფეხზე აყვავდა.

**ჩვილი ყრმა.**

ბავშვს რო მოენდომებინა, იმ წამსვე გაფრინდებოდა ზეცას. უმიზეზოდ ვერ გვშორდება ჩვენ.

მშობლის გულ-მკერდზე უყვარს თავის დაყრდნობა და არც ერთი წამით არ აშორებს თვალს.

უთვალავი ბრძნული სიტყვა იცის ბავშვმა, თუმცა ადამიანთა ძლიერ მცირე რიცხვს ესმის მათი აზრი.

უმიზეზოდ კი არ მდუმარებს იგი.

ერთად-ერთი, რაც მასა სურს,—მშობლის სიტყვა ისწავლოს მშობლისავე პირით ნათქვამი. ამიტომ გამოიყურება ისე უმანკოდ.

აურაცხელი ოქრო და თვალ-მარგალიტის პატრონი იყო, ხოლო მაინც ღატაკად მოევლინა მსოფლიოს.

უმიზეზოდ არ მოსულა ასე.

სრულიად უმწეოდ მოგვაჩვენებს თავს ეს საყვარელი პაწია ღატაკი, რომ მთლიანად გამოსთხოვოს და დაიუფლოს მშობლის სიყვარულის საუნჯე.

ნამგალა მთვარის ყოველგვარ ხუნდთაგან თავისუფალი იყო ბავშვი.

უმიზეზოდ არ უარუყვია თვისი თავისუფლება.

მან უწყოდა, რომ დაუსრულებელი სიხარულით აღსავსე პაწია კუთხე მოიძებნება მშობლის მკერდში და ბევრად ურჩევნია თავისუფლებას თვისი უმანკო ხელებით ამ მკერდში ჩახუტება.

უწინ სულ არ იცოდა ბავშვმა ტირილი. სრული ბედნიერების სამთავროში სცხოვრობდა ის.

და უმიზეზოდ არ ირჩია ცრემლები.

თუმცა თვისი ნაზი ღიმილით ხიბლავს და იზიდავს მშობლის მწუხარე გულს, ხოლო სულ უმნიშვნელო მწუხარებით გამოწვეული მისი უმნიშვნელო ქვითინი ურთიერთს აწნავს სიბრალულსა და სიყვარულს.

**უხილავი**

ოო, ვინ შეღება ეს პაწია სამოსი, ჩემო ბავშვო და ვინ შემოსა შენი უმანკო სხეული ამ წითელი პერანგით?.

სათამაშოთ გამოხვედი ამ დილას ეზოში, წაიბორძიკე და რამდენჯერმე კიდეც წაიქეცი.

ხოლო ვინ შეღება ეგ პაწია სამოსი, ჩემო ბავშვო? რამ გამოიწვია ეგ შენი კისკისი, ჩემი ცხოვრების ახლად გაფურჩქვნილო პაწია ყვავილო?

კარის ბჭეზე მშობელი გადმომდგარა და გიღიმის. ტაშის დაკვრაზე სამაჯურები წკრიალებენ, შენ კი ლერწამის ყავარჯენით ხელში პაწია მეცხვარესავით ცეკვავ და თამაშობ.

ხოლო რა იწვევს შენში მაგ სიცილს, ჩემი ცხოვრების ახლად გაფურჩქვნილო პაწია ყვავილო?

ჰოი, ღატაკო, კისერზე ხელშემოხვეული როს ევედრები, რასა სთხოვ მშობელს?

ჰოი, გაუმაძღარო გულო, შენ გსურს მსოფლიო მოვწყვიტო ზეცას ხის ნაყოფივით და შენ პაწია ვარდისფერ ხელზე დავასვენო იგი.

ჰოი, ღატაკო, რას ითხოვ?

სიო სიხარულითა ჰფენს გარემოს. შენს ფეხებზე შებმულ ზარების წკრიალს.

შენ პირის ბანაზე მზე იღიმება.

ზეცა გდარაჯობს მშობლის მკერდზე მისვენებულს, ფეხის ცერებზე ეპარება დილა შენს სარეცელს და ეამბორება შენს ჟუჟუნა თვალებს.

სიო სიხარულითა ჰფენს მიდამოს შენს ფეხებზე შებმულ ზარების წკრიალს.

სიზმართა გრძნეული დედოფალი მოფრინავს შენსკენ ღამის წყვდიადში.

შენს გვერდითაა ის—მშობელი დედის მკერდში. შენს სარკმელთან იცდის სალამურით ხელში, ვინც ვარსკვლავთ უმღერს თვის ლექსებს.

სიზმართა გრძნეული დედოფალი მოფრინავს შენსკენ ღამის წყვდიადში.

**გ. მუმლაძე.**

(შემდეგი იქნება)

---

# ახალი უნივერსიტეტი რუსეთში

უმაღლესად დამტკიცდა ... რონოგიური ინსტიტუტის ახალი წესდება, რომლის ძალით იგი უნივერსიტეტად გადაკეთდა. მომავალ ენკენისთვიდან ამ ინსტიტუტის ყველა მსმენელი უნივერსიტეტის სტუდენტებად გადაიქცევიან. ამგვარად, ხარჯის გაუღებლად, რუსეთს შეემატა სრულიად დამთავრებული ახალი ტიპის უნივერსიტეტი. ეს უკანასკნელი მით განირჩევა რუსეთის სხვა უნივერსიტეტებისაგან, რომ იგი ერთი განსაზღვრული ოლქისთვის კი არ არის დანიშნული, არამედ, რუსეთის ყველა სამოსწავლო ოლქისთვის, ე. ი. ამ ახალ უნივერსიტეტში შესვლა შეუძლიან ყველას, რომელი სამოსწავლო ოლქიდანაც უნდა იყოს. არის მეორე არსებითი განსხვავებაც. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტმა დაწყებისას აუცილებლად საერთო ძირითადს განყოფილებაში უნდა იმეცადინოს. ამ განყოფილებაში სტუდენტები ეცნობიან საერთო საგანმანათლებლო ბიოლოგიურსა და ჰუმანიტრულ მეცნიერებათ... ამას შემდეგ თითეული სტუდენტი თავის მოწოდების მიხედვით აირჩევს უნივერსიტეტის ერთ რომელიმე განყოფილებას ან ფაკულტეტს. დღეს დღეობით ამ უნივერსიტეტს აქვს შემდეგი ფაკულტეტები: საექიმო, ისტორიულ-საბუნებისმეტყველო, სიტყვიერებით-ისტორიული და იურიდიული. საექიმო ფაკულტეტთან არსებობს საფარმაცევტო განყოფილება, ხოლო ისტორიულ-საბუნებისმეტყველო და სიტყვიერებით-ისტორიულ ფაკულტეტთან პედაგოგიური განყოფილება.

---

# ამერიკა სამხედრო სამზადისს შეუდგა

შეერთებული შტატების ფლოტის მდივანმა განკარგულება მოახდინა კარგად გაესინჯავთ რაც ამერიკას სავაჭრო გემები ჰყავს. განკარგულების მიზანია გამოირკვეს თუ რამდენი სავაჭრო გემის გადაკეთება შეიძლება მაშველ სამხედრო გემად, ვინიცობაა ამის საჭიროება დადგეს. ამ გასინჯვის მიხედვით ამერიკის მთავრობამ სხვა და სხვა ქარხნებს განსაზღვრული რიცხვით ზარბაზანი კიდევაც შეუკვეთა. ამერიკის საზღვაო დეპარტამენტმა შემდეგ კატეგორიებად დაჰყო ის გემები, რომელნიც ომის დროს სამხედრო ფლოტის საჭიროებას უნდა მიეშველნენ:

32 გემი უნდა გადაკეთდეს აქტიურ ფლოტის მზვერავ გემებად; 20 გემი სხვა და სხვა სანაპირო ადგილას მზვერავ გემებად; 15 გემმა ნაღმი უნდა ზიდოს; 60 გემმა ფორტებში მოდარაჯე გემების როლი უნდა შეასრულოს; 324 გემი ნაღმის დამჭერ გემებად; 4 გემი აქტიურ ფლოტისთვის ქვანახშირის მიმწოდებელ გემად; 200—როგორც ჩვეულებრივი ნახშირის გადამზიდველ გემებად; 57 გემი ქვა ნახშირის საწყობ გემებად; 35 და მეტი—ნავთის ტრანსპორტებად; 5—ნავთის საწყობ გემად; 6—სურსათის მზიდველ გემებად; 8—სამხედრო მასალის გადამზიდველ გემებად; 4—სხვა და სხვა ტვირთის გადამზიდველ გემებად; 3—სახელოსნო გემებად: 4 გემი საგოსპიტლო გემებად; 3—ნაღმის საწყობ გემებად; 2 გემი დანიშნულია

ნაღმოსნების გამანადგურებელ გემებად; 2 გემი წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგოდ. ამას გარდა ფლოტში ჩაირიცხება მატორიანი ნავების მეტი წილი.

საზღვაო დეპარტამენტის გამოანგარიშებით ყველა ამ გემის შეიარაღებას 17 მილიონი მანეთი დასჭირდება. დეპარტამენტმა ამ ხანად $3^1/_2$ მილიონი მან. გადასდო. გემების შეიარაღება სწრაფად სწარმოებს.

## გლეხნი შემწირველნი

**ს. ჯუგაანი** (ქიზიყის მაზრა) ჩვენ ქართველთა ცხოვრებაში იშვიათი მოვლენაა, რომ ვინმე სიკვდილის შემდეგ სტოვებდეს საქველმოქმედო შეწირულებას ქვრივ-ობოლთა და, მით უმეტეს, საკულტურო დაწესებულებათა სასარგებლოდ. ეს თუ ითქმის ქალაქებში მცხოვრებთა შესახებ, მით უფრო სოფლად მცხოვრებლებზე.

თუმცა სოფლადაც არიან ისეთი პირნი გლეხის ოჯახისშვილები, (მოვაჭრენი, უშვილონი და სხ.), რომელთაც სიკვდილის შემდეგ უძრავი და მოძრავი ქონება რჩებათ უმემკვიდროდ, მაგრამ მათი სიბრალულის გრძნობა საქველმოქმედო საქმისათვის დახშულია და შეწირულების თვალთაზრისით ვერ გაჰცილებია საკუთარს „მე“-ს. მათი სიკვდილის შემდეგ მისი ქონება დაჰრჩომია ვილაცა შორეულს უღირსს ნათესავს, ანუ უშედეგოდ გაფლანგულა.

მაგრამ დღეს, ჩვენდა სახიქადულოდ, ჩვენ გლეხებს შორისაც იპოვებიან პირნი, რომელთა თვალთაზრისი საკეთილოდ შეცვლილა და გულუხვად და წრფელის გულით ჰსწირავენ თავის წვლილს საკულტურო დაწესებულებათ. სოფლადაც ამოგვიჩნდნენ მცირე სარაჯიშვილები და ზუბალაშვილები! აი ფაქტიც:

ამა აგვისტოს 18-ს ს. ჯუგაანის ადგილობრივი და გარეშე მღვდელთაგან გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე გარდაცვლილ ამავე სოფლის გლეხის ალექსანდრე მატიაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ახლო ნათესავთა გარდა გარეშე პირნიც, ნაცნობნი და მეგობარნი გარდაცვალებულისა. წირვის შემდეგ ადგილობრივმა მღვდელმა ილია შანშიაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც ქებით მოიხსენია საქციელი გარდაცვალებულის ძმებისა, მიხეილისა და იოსებისა და ამავე ძმების თანხმობა და სურვილი გამოცხადდა მოძრავი ქონება ასეთი განაწილებისა: გარდაცვალებულის ძეგლის ასაშენებლად გადაიდვა 1000 მან. მისი ღარიბ ნათესავთა ობოლქვრივთ შეეწირა 450 მან. ა. მატიაშვილის ობლებს—ქალებს შეეწირა 300 მ., რომელი ფულიც კასაში უნდა შეტანილ იქნას მათ გათხოვებამდის. ღარიბ სტუდენტს გ. დ. მაჩაბელს, რომელიც მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად—100 მ.

თვით მიხეილ და იოსების ოჯახიდგან თითო შვილის სკოლაში ასასრულად 800 მან., რათა დარჩეს კეთილი მაგალითის ხსოვნა მომავალ თაობაში.

ს. ჯუგაანის წიგნთ-საცავ სამკითხველოს 300 მ., ქვ. მაჩხაანის ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგ. განყოფილებას 100 მ. ქ. მაჩხაანის სახალხო სახლის (თეატრის) ასაშენებლად 300 მ. დიდუბის პანთეონის ფონდს 70 მ., საავარაკო ფონდს 70 მ., ი. ევდოშვილის ქვრივ-ობოლთ 50 მ., თბილისის ქართულ თეატრის ასაშენებლად 40 მ., ქ. გიმნაზიასთან დაარსებულ ღარიბთა სასადილოს 80 მ., და სიღნაღის ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილებას 40 მ. და სრულიად გარდა 1000 მ. (ძეგლისთვის) საქველმოქმედო საქმეებს შესწირა 2200 მან.

რადგანაც ეს ფული დაბანდებულია თამბაქოს მოსაყვანად, თვითეულს ზემოხსენებულ პირთ და დაწესებულებათ გაეგზავნება თამბაქოს გაყიდვის შემდეგ, დაახლოებით მომავალ მარტის გასულს.

დიახ, მკითხველო, რომ სოფელსაც ჰყოლია მცირე სარაჯიშვილები. ვაშა მიხეილ და იოსებ მატიაშვილებს ასეთი მისაბაძი მაგალითისოვის!

**დამსწრე.**

## ხმა რაჭიდან

ბ-ნ ვოლჟინის მოგზაურობამ საქართველოში ბევრი იმედები აღგვიძრა გულში ჩვენ რაჭველებსაც და ცხადის მოუთმენლობით ველოდით გაგნებას, თუ რას მოიმოქმედებდა ქართველი სამღვდელოება შესახებ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა. ველოდი მისგან პირუთვნელ, მტკიცე და გაბედულ მოთხოვნების წარდგინებას, ვის წინაშეც ჯერ იყო, რომ ჩვენ ფეხით გათელილს ეკლესიას ჰღირსებოდა თავისუფლება. სამწუხაროდ ჩვენმა სამღვდელოებამ არ გაამართლა ჩვენი იმედები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამღვდელოება, უმეტეს ნაწილად, საშუალო და მაღალი განათლების პირთაგან შესდგება, მათ თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი უფრო მაღლა დაუყენებიათ, ვიდრე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. მის მაგიერ, რომ მათ თავიანთ შორის მტკიცე კავშირი შეექმნათ და ერთსულოვანად ემოქმედნათ, მის მაგიერ, რომ მათ დაეარსებინათ სპეციალური ორგანო და იმისი საშუალებით თავგამოდებით ებრძოლათ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის მტრების წინააღმდეგ, მათ დიდი უენერგიობით და დიდი უუნარობით ისახელეს თავი. ვერც ერთი ჭკუათა მყოფელი კაცი ვერ იტყვის, რომ სარწმუნოება თანშობილი თვისება არ იყოს ადამიანისა; კაცის სინიდისი და სარწმუნოება, თითქმის, სინონიმები არიან; მასა აქვს დასახული უმაღლესი იდეალები: სიმშვენიერისა, ჭეშმარიტების და სამართლიანობისა. თუ ფაქიზი და წმინდა არის სარწმუნოება, ფაქიზი და მიზან-შეწონილია მისი მატარებელი ხალხის სინიდისი და ცხოვრებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შებღალულია ყველა ეს თვისებები. ყველა ესენი კარგად უნდა ესმოდეს ჩვენს სამღვდელოებას და ცდილობდეს, რომ არ უღალატოს თავის დანიშნულებას. სპეტაკი სარწმუნოება წარმოშობს ადამიანში მტკიცე ხასიათს და მყარ ნების ყოფას, რომელთა ბუნებრივი მიმართულება იქნება კეთილი, ხოლო სპეტაკ სარწმუნოებას კი წარმოშობს თავისუფალი ეკლესია. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩვენი ეკლესიის თავისუფლებას, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია. ხალხი სულით და გულით ნატრობს თავისუფალ ეკლესიას და ზეციურ მანანასავით მოელის თავისი ნატვრის განხორციელებას ამ მხრით მაინც და ამისათვის თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი სამღვდელოება და მისი მეთაურები თავიანთი უმოქმედობით პასუხს აგებენ მომავალ ქართველ ხალხის წინაშე. ცუდად მოიხსენიებს მათ ისტორია...

**გ. ღ.**

## სოფლად

**4. მცხეთა.—წიწამური.—ილიასეული მამული.**

მცხეთა.

„აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართვლის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების!“

ილიას სიტყვებით მივესალმე მცხეთას.

მცხეთაში შესვლისათანავე ჩვენი პატივცემულ იოსებ გედევანიშვილის და მისი ძმების სახლ-კარმიდამოს გავუარე. სანამ დედა ცოცხალი ჰყავდათ, შემოღობილი და მოვლილი იყო მათი სახლ-კარმიდამო, დღეს კი შიგ ჯარისკაცები დგანან, ნუშისა და ხეხილის ტოტები ჩამომტვრეულა, ღობე შემორღვეულა და მთლად გახრიოკებულა, სახლის ფანჯრებიც ჩალეწილია.

შევიარე მცხეთის ტაძარში—ეს ნაშთი ჩვენის დიდებისა და მოწამე მრავალ-ტანჯულ საქართველოსი; ჩვენი მეფეების აკლდამებს თაყვანი ვეცი და თითო სანთელი დაუნთე ნიშნად ჩვენი ერის დამოუკიდებლობის მოსაგონებლად.

მძიმე შთაბეჭდილებით გამოვედი ამ ტაძრიდან.

—

მცხეთის საზოგადოებაში შედის 14 სოფელი და ითვლება 683 კომლი ახალის შეჯგუფების მიხედვით, თუმცა ბევრგან დიდი შეცდომებია შეტანილი, მაგალითად—მცხეთაში ნაჩვენებია 170 კომლი, როდესაც დღეს 260 კომლი ითვლება, ამათში 200 კომლი ქართველია, 60 კომლი სომეხი, რუსებიც მოსახლეობენ.

მცხეთელებს ნაყიდი ჰქონიათ საუფლისწულო მამული 500 დეს.—4750 მან., გედევანისშვილებისაგანც იყიდეს —70 დეს.—1800 მან. და თითო კომლსაც ეჭირება სახაზინო მამული $2^1/_2$ დესეტინა.

სოფლის მოხელეები ხარჯს იხდიან მამასახლისის და ჩაფრებისას თითო კომლი—2 მან. 40 კაპ. საერთოდ სოფელი იხდის გზირისა—150 მან., ეკლესიის ყარაულის—100 მან, სასოფლო კანცელარიის ხარჯი—200 მ., სკოლის ორ მოჯამაგირე ქალს აძლევენ—360 მან. და მცველსაც 300 მან.

მცხეთის საზოგადოების მამასახლისია პეტრე მარტოლეკი, რომელსაც სოფელი ძალიან მომდურავი ჰყავს.

აქ არსებობს სამინისტრო სკოლა, სამინისტრო საქალებო პროგიმნაზია პანსიონი, კოოპერატიული ამხანაგობა, წვრილი კრედიტი, სამოქალაქო შტატი, საფოსტო დაწესებულება და სასოფლო კანცელარია.

აქ ამ ბოლოდროს ქართველებსა და სომხებს შორის (რომელთაც მათ სომხებისა არა ეტყობათ რა—გარდა რჯულისა), ცუდი განწყობილება იბადება ტერტერას წყალობით, ფარულად მართავს კრებებს განსაკუთრებით სომხებისას.—ქართველი სომხები ეჭვში შევიდნენ და ტერტერას გადაჰრით მოსთხოვეს, რადგან ის ცდილობს ქართველებს და სომხებს შორის განცალკევებას და ეწევა ჩუმ პროპაგანდას მათ წინააღმდეგ, თუ რომ მას ჰსურს ჩვენთან სომხებმა იქონიონ ისევ ძველი მეგობრობა, მოსპოს ამგვარი აღრეულობა ჩვენ შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც გაგინაპირებთო, გამოუცხადეს გლეხებმა.

—

**წიწამური.** მცხეთიდან არაგვში გავედით ჯვარის მამის მონასტრის პირდაპირ.

ჯვარის მამის მონასტერი—ეს ნაშთი მეშვიდე საუკუნისა და ჟამთა ვითარების წინაშე, ამაყად—ვით სალი კლდე—გადმოგვყურებს.

მის არე-მარეს გავსცდით, ეტლი საგურამოსკენ მირიხინებს, გაღმა არაგვის ნაპირისკენ ჩემი ყურადღება მიქცეულია.

— აი, ის ადგილი, სადაც ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო! გადმომძახა მეეტლემ.

მივიხედე, შავი ხის ჯვარი მუხის კუნძში გვერდზედ ჩასობილი დავინახე, მე კი უფრო უკეთეს მოველოდი. ეტლი გავაჩერებინე, ჩამოვხტი და ჯვარს თაყვანი ვეცი.

წიწამური!... აი, ის ადგილი, სადაც დიდებულ მამულიშვილს ჰხვდა მოწამებრივი სიკვდილი!

აი, ის ადგილი, სადაც პირველად გაისმა გლოვის ზარი და ქართველ ერს გულში ჩასწვდა და ამ გლოვის ზარმა ქართველი ერი გამოაფხიზლა.

და ქართველი ეროვნული გრძნობის განმტკიცებამ დიდებული ილია შეიწირა!

ამ მოწამებრივ ადგილს ვაკვირდები: აგერ ამ ბუჩქნარიდან, სადაც ის თავზედ ხელაღებულნი გარეწარნი უცდიდნენ ილიას გავლას, ქურდულად თავს დაესხნენ.

— რას სჩადიხართ!—ილიამ შეუძახა მათ და მის ნაღვლიან დინჯ სახეზედ ეს სიტყვები გაიყინა.

ნუ თუ ამ დიდ-ბუნებოვან ადამიანს ეს ბოლო მოელოდა?

„წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.“

მეც ვესალმები ილიას სიტყვებით ამ ადგილს.

და მის სიკვდილით მკვდრეთით აღსდგა ერი ქართველი.

და მისი დანთხეული სისხლი წმინდა არს ყველა ქართველისათვის.

და ამ ილიას სისხლით მორწყულ ადგილას ყველა ქართველი მოწიწებით მუხლს მოიდრეკს.

**საგურამო და ილიას სასახლე.** საგურამოს მივუახლოვდით.

— შევიაროთ, ილიას სახლ-კარმიდამო მინდა დავათვალიერო, მივეცი წინადადება მეეტლეს.

— შევიაროთ, მხოლოდ საიმისოს ვერაფერს ნახავთ, თავის რიგზედ აღარაფერია, იყო პასუხი მეეტლისა,—იყო დრო, როდესაც ილიასთან მომიყვანია სტუმრები და აჭაურობა აყვავებული და გაჩაღებული ყოფილა, ეხლა კი, დახედეთ, რა ამბავია!

და მართლაც მის ბაღ-ვენახებს, მის კარმიდამოს მზრუნველი ხელი არ ატყვია, უპატრონოდ მისი გარშემო აძანძულა-აჩალულა.

ქვედა სართულის აივნის ქვეშ მოსჩანს სამეურნეო დაძველებული იარაღები და მათ შორის ილიას ეტლიც, რაშიაც მიმავალი თბილისკენ წიწამურში გამოასალმეს.

დავიარე ოთახები, მიყრილ-მოყრილი, აქა-იქ მოსჩანს ილიასეული ავეჯი, არც ერთ ოთახში მისი სურათი არა სჩანს, ყველგან ნგრევისა და რღვევის პროცესი მოსჩანს.

მაღლა სართულში მისი კაბინეტი, სადაც ილია მუშაობდა ხოლმე და აივნიდან გასცქეროდა არაგვის ხეობას, ცარიელი ობლად გამოიყურებოდა.

აივნიდან გადვიხედე და ვიხილე დიდებული სურათი: არაგვის ხეობა შორს მანძილზედ მიიკლაკნება და მუხრანის ველი თითქმის 25 ვერსის სივრცეზედ გადაჭიმულა.

ეს თვალწარმტაცი სურათი მუხრანის ველისა, ეს მოგუგუნე არაგვი თავის ატეხილ ჰალებით და ეს საგურამოს აბიბინებული მინდვრები ილიას საყვარელი ადგილები იყვნენ.

და ამ აივნიდან ილია ბევრჯელ ტანჯვით ადევნებდა თვალს გაბრაზებულ არაგვს:

„გულ-ხელ დაკრეფილ შენს წმინდასა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემ ძველსა მამულს,—
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულ-საკლავ პასუხს“.

სამეურნეო საზოგადოება საყვედურის ღირსია, რომ ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია ილიას ადგილ-მამული, მარტო ის არ კმარა, რომ რაღაც ორი დღიური ვენახი გაეშენებინოს.

**Legatus.**

## დაბა-სოფლები

**ქ. თელავი.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, თ-დი ერისთვიშვილები ჰყიდიან ნავთის მთას. ს. ქისტაურის ბოლოში მდებარეს. მყიდველები არიან ერთი ებრაელი და ერთიც ინგლისელი.

საკვირველია თელავის ბიბლიოთეკის მოწყობა-მოწესრიგების საქმე. თუ ვინმე მუქთად და სამადლოთ გააკეთებს რამეს, თორემ თვითონ ხელს არ გაანძრევენ. ბ-ნი გამგე ამ სამკითხველოსი ძალიან დამზოგავი კაცი ყოფილა. თვითონ სახლში გაზეთს არ იწერავს და სამკითხველოდან მიაქვს ახალ ახალი ჟურნალ-გაზეთები, ალბად ამომრჩევლებმაც ამითი იხელმძღვანელეს. რამდენჯერაც შევდივარ გაზეთის წასაკითხავად, გვიპასუხებენ: გაზეთი აქ არ არის, გამგემ წაიღოო. მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნა მიიღო ამაზედ, იგი მაინც თავისას განაგრძობს. ასევე სჩადის მისი მეზობელი, ყოფილი გამგე, ბ-ნი ლევანიძე. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს.

ამ სამკითხველოში, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველები სულ ქართველები არიან (რუსი სამი, ოთხი კაცი თუ შემოვა წელიწადში, სომხები ხომ თავის დღეში არ შემოდიან), მაინც ქართული წიგნები არ არის. რუსული კი ბლომად .ეხლა თავმჯდომარე იწერს მარტო რუსულს წიგნებს. კითხვაზე—რატომ ქართულს არ იძენს—გიპასუხებთ: „ქართული წიგნები აღარ იშოვებაო. იფიქრებთ, იქნება მართლა აქვსთ რამე წიგნები. შეხვალთ და შიგ ერთს წიგნსაც ვერ ნახავთ, „ლალატი“ და „სამშობლო“ თვითონ თელავშივე იყიდება, ამათ არ შეუძენიათ და იძახიან კი: „ქართული წიგნები აღარ არისო“. ეს კარგათ უნდა იცოდნენ, რომ რუსული წიგნები ამ სამკითხველოში სამჯერ მეტია ქართულზედ.

**თელაველი ი. ხუნაშვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგ განაჩენს:

გორის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საბჭომ, გაიცნო რა ყოველმხრივ ბ-ნ დ. ჯავახიშვილის საქმე, მიიღო ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: *)

1) ბ-ნ დ. ჯავახიშვილის მოქმედებაში არ ყოფილა არავითარი ბოროტი განზრახვა და ანგარება. ბ-მა ჯავახიშვილმა ქ. ფოთში ფქვილის გაყიდვით შესძინა ამხანაგობას წმინდა შემოსავალი 1418 მ. 31 კ. ეს ფქვილი რომ გორში გაყიდულიყო, ამხანაგობას დარჩებოდა დაახლოვებით 800 მ. ე. ი. თითქმის ორჯელ ნაკლები.

2) ბ-ნ დ. ჯავახიშვილის მოქმედებაში საბჭო ხედავს დიდ შეცდომას, რომელიც გამოწვეული იყო მისი აჩქარებით და მოუფიქრებლობით. ბ-მა ჯავახიშვილმა არ მიიღო ყველა ზომები, რომ ფქვილი გორში ჩამოეტანა. იგი, როგორც გამგეობის თავმჯდომარე, ვალდებული იყო შეჰკითხოდა ადგილობრივ გამგეობას და კარგად გაეგო, თუ რამდენად მართალი იყო ქ. ფოთში გავრცელებული ხმები, ვითომც იმ დროს გორში ფქვილი ყოფილიყოს.

3) ყველა ამის გამო საბჭო გამოსთქვამს თავის მწუხარებას და მტკიცე რწმენას, რომ მომავალში აღარ გამეორდება ასეთი შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარე **დ. ონიაშვილი.**

წევრები { **ალ. ჩეკურაშვილი.** **პ. ჯაფარიძე.** **მ. ახალშედაშვილი**

*) ეს რეზოლიუცია ერთხმად მიღებულ იქნა აგრეთვე 11 მარიამ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივ კრებაზე.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში ბ-ნ **ს. კ.**-ს წერილის სათაური ასე უნდა ყოფილიყო: ეროვნული გაჭირვების გაზრდა და ჩვენი მოქმედების **განელება** და არა განცდა, როგორც ეს იყო დაბეჭდილი.

—

ამავე წერილის ტექსტში შემდეგი შეცდომებია: ზევიდან მერვე სტრიქონში **დაბეჭდილია:** ...„იმ თათბირის ხალხი, **უნდა იყოს:** .. „იმ თაობის ხალხი და სხვ.

—

წერილის მეორე სვეტში, ქვემოდან 23 სტრიქონში, დაბეჭდილია: **„ამის** ერთგვარი ხალის და სტიმული შექმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში... უნდა იყოს: ამას და სხვა...

—

მესამე სვეტში: ზევიდან მეხუთე სტრიქონში დაბეჭდილია: **ჯანავის** დაპყრობა. უნდა იყოს: **ჯანიკის** დაპყრობა.

—

ქვემოდან მე-23 სტრიქონში დაბეჭდილია: „ხომ ვიცით თუ რა ზომ შედეგიანია... უნდა იყოს: ხომ ვიცით თუ რაზომ შედეგიანია...

—

ქვემოდან მე-16 სტრიქონში დაწყებული წინადადება ასე უნდა იკითხებოდეს: მაშ რა ამბავია რომ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებისა და საქვ. საზოგადოების ხელში არ ხერხდება და არ ეწყობა **ლაზებისთვისაც** აჭარაში გამართული მუშაობის მზგავსი საქმიანობა?!

დაბეჭდილ ტექსტში გამოტოვებულია სიტყვა **ლაზებისთვისაც.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 | „ 58 | „ საღ. |

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“.** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა **№ 12 отд. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, **Тхинвал**ская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება **2—5** საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

## თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

## მიმართეთ

### ცნობის კონტორას

## ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

◆◆ **ხელმისაწვდენ ფასებში** ◆◆

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

### სავაჭრო სახლი

## „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა **1916 წ.** თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

### თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„დ. მაილოვის-ვდოვ,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„ჟუ-შონჩი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და საზღვარგარეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა **ხანგრძლივ ინახება.**